

## შპს „უნივერსალი“

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. თელეთის ტერიტორიაზე  
ცხოველთა სასაკლავოს მოწყობა და ექსპლუატაცია

**გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული დამატებითი  
ინფორმაცია**

## ეკოლოგია

მომზადებულია: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების  
საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრის“ მიერ

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

თ. ჟიჟიაშვილი

**გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომენტარი	დამატებითი ინფორმაცია
<p>გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შერჩეული მიწის ნაკვეთის შესყიდვამდე განიხილებოდა სასაკლავოს განთავსების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი, თუმცა წარმოდგენილი არ არის კონკრეტული მდებარეობები, რაც საჭიროებს დაზუსტებას.</p>	<p>სასაკლავოს მოწყობის დაგეგმვის ეტაპზე ერთ-ერთ ალტერნატივად განხილული იყო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 81.03.00.505. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „უნივერსალი“-ს საკუთრებას. მიწის ნაკვეთი არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და მასზე სასაკლავოსთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის განთავსება დაკავშირებულია მიწის კატეგორიის ცვლილებასთან. გარდა ამისა, სასაკლავოსთვის შერჩეული მიწის ნაკვეთი ცენტრალურ საავტომობილო გზასთან მდებარეობს 1,5 კმ-ში, ხოლო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 81.03.00.505 დაახლოებით 4 კმ-ში. ამასთან, ტერიტორიაზე არ არის ელექტროენერჯის გადამცემი ხაზი მიყვანილი, რაც დაკავშირებულია ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობასთან. ამასთან, კომპანიას განზრახული აქვს, სასაკლავოს ტერიტორიაზე, ლაგუნაში წარმოქმნილი ფეკალური მასა გაიტანოს სწორედ აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე.</p>
<p>საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არსებობასთან დაკავშირებით გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იდენტურია სკოპინგის ანგარიშში მითითებული ინფორმაციისა, კერძოდ ორივე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ გვხვდება, წარმოდგენილია მხოლოდ ეკლიანი მცენარეები, რომელიც ძირითადად ღორღიან</p>	<p>როგორც გზმ-ის ანგარიშშია აღნიშნული საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ გვხვდება, წარმოდგენილია მხოლოდ ეკლიანი მცენარეები, რომელიც ძირითადად ღორღიან ნიადაგზეა ამოსული. ამასთან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი ემიჯნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწას, რომელთა ზედაპირი ერთმანეთის იდენტურია, საკმაოდ დეგრადირებულია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არცერთ ნაკვეთზე არ</p>

<p>ნიადაგზეა ამოსული.“ (გზმ-ის ანგარიში, თავი 16.6; გვ. 54; სკოპინგის ანგარიში, თავი 8, გვ. 19). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორიის ნაწილი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არარსებობის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას, რათა არ მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება და დაცული იყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.</p>	<p>გვხვდება. შესაბამისად, პროექტის განხორციელების ეტაპზე ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.</p>
<p>არ არის წარმოდგენილი სასაკლაოში წარმოქმნილი სისხლის ლაგუნაში შეგროვების მიზანშეწონილობის შესახებ ინფორმაცია/დასაბუთება, შესაბამისად გათვალისწინებული და განხილული უნდა იყოს სისხლის მართვის სხვა ალტერნატივა.</p>	<p>კომპანიას, ამ ეტაპზე, დაგეგმილი არ აქვს სისხლის შემდგომი მართვის მიზნით, რაიმე საწარმოს მოწყობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოში არ არსებობს საწარმოები, სადაც ხდება სისხლის გადამუშავება, შესაბამისად კომპანიისთვის ერთადერთ ალტერნატივას წარმოადგენს სასაკლაოს ტერიტორიაზე გამოყენებული სისხლის, ფეკალურ მასებთან ერთად ლაგუნაში ჩაშვება და შემდგომ მისი, როგორც ბუნებრივი სასუქის გამოყენება.</p>
<p>გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ლაგუნიდან ამოღებული მასის გატანა დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწებზე. ვინაიდან, აღნიშნული წარმოადგენს მაღალი ღირებულების მქონე ბიოლოგიურ სასუქ მასალას, მასზე მოთხოვნა ძალიან</p>	<p>ლაგუნაში დაგროვილი (სისხლნარევი) მასის სასუქად გამოყენების დოკუმენტურად დასაბუთებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელი არ არის, რადგან ქვეყანაში სასაკლაოების და ცხოველთა სადგომებზე წარმოქმნილი სისხლისა და ფეკალური მასების მართვა ძირითადად კუსტარულად ხორციელდება და ხშირ</p>

მაღალია. ამასთან, მიწებზე შეტანა მოხდება გაფანტვის მეთოდით.“ გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ლაგუნაში დაგროვილი (სისხლნარევი) მასის სასუქად გამოყენების პრაქტიკის (მათ შორის ქვეყანაში არსებული გამოცდილება) შესახებ სათანადო ინფორმაცია (აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია). გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს ლაგუნიდან ამოღებული მასის, როგორც სასუქის ტერიტორიიდან გატანის საკითხი, კერძოდ მისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე შეტანა მოხდება უშუალოდ კომპანიის მიერ, თუ აღნიშნული მასა (ნარჩენი) გადაეცემა ორგანიზაციას/პირს. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ლაგუნიდან ამოღებული მასის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე გატანის დამადასტურებელი ინფორმაცია.

შემთხვევაში, სისხლიანი წყლის ჩაშვება ხდება ზედაპირული წყლის ობიექტებში და მიწისქვეშა გრუნტში. ლაგუნის მოწყობის და მასში სისხლისა და ფეკალური მასების ჩაშვების პრაქტიკა დანერგილია ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში, როგორცაა დანია, უკრაინა, ევროპის სხვადასხვა ქვეყნები . როგორც გზშ-ის ანგარიშშია აღნიშნული (თავი 10), ლაგუნაში ჩაშვებული ფეკალური მასების ამოტუმბვა მოხდება კომპანიის (შპს უნივერსალის) საკუთრებაში არსებული ასენიზაციის მანქანით. რომელსაც გააჩნია, როგორც შეწოვის ასევე მასის გარეთ გამოფრქვევის ფუნქცია. ვინაიდან, აღნიშნული წარმოდგენს მაღალი ღირებულების მქონე ბიოლოგიურ სასუქ მასალას, მასზე მოთხოვნა ძალიან მაღალია. ამასთან აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ლაგუნიდან ამოღებული მასის შეტანა მოხდება გაფანტვის მეთოდით, შპს „უნივერსალის“ საკუთრებაში არსებული ავტომანქანით, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, გააჩნია გამოფრქვევის ფუნქცია. წვიმიან და ქარიან ამინდში ლაგუნიდან მასის ამოღება და სავარგულებზე შეტანა დაგეგმილი არ არის. ლაგუნიდან ამოღებული მასის გატანა დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწებზე, მათ შორის ერთ-ერთია შპს უნივერსალის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 81.03.00.505, რომელიც მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. თელეთის ტერიტორიაზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 3 კმ მანძილით და მასზე მოხვედრა

	<p>მოხდება გრუნტის გზით, ისე, რომ საჭირო არ იქნება დასახლებული პუნქტის გავლა.</p>
<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს შესასვლელ და გამოსასვლელ კარებთან მოწყობა სპეციალური სადუზინფექციო ბარიერები, რომლებიც მუდმივად სავსე იქნება სადუზინფექციო ხსნარებით ტრანსპორტის ბორბლების დუზინფექციის ჩასატარებლად. ხოლო ავტომანქანებიდან ცოცხალი პირუტყვის ჩამოცლის შემდეგ ძარა დასუფთავდება, გაირეცხება და ჩუტარდება დუზინფექცია. დაზუსტებას საჭიროებს, ტრანსპორტის რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხი, ამასთან თუ ხსნარების გამოყენებით ნარეცხი წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია ლაგუნაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში დაზუსტებას საჭიროებს ლაგუნაში წარმოქმნილი მასის გამოყენების საკითხი.</p>	<p>როგორც გზშ-ის ანგარიშშია (თავი 7.2.2) აღნიშნული ტერიტორიაზე დაგეგმილია საასენიზაციო ორმოს, პარამეტრებით: სიგრძე 3 მეტრი, სიგანე - 2 მეტრი, სიღრმე 5 მეტრი, საერთო მოცულობით 30 მ<sup>3</sup>, მოწყობა, რომლის ძირი, გვერდები და თავი მობეტონებული იქნება. ობიექტზე ტრანსპორტის რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება, მოხდება აღნიშნულ საასენიზაციო ორმოში. ორმოს გაწმენდა მოხდება შევსების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ტრანსპორტის ნარეცხი წყლის ჩაშვება ლაგუნაში დაგეგმილი არ არის.</p>
<p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ლაგუნისა და ცხოველთა სასაკლავოს მოწყობა დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რასთან დაკავშირებითაც განმარტებულია, რომ „საქართველოს კანონის მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს</p>	<p>გზშ-ის ანგარიშში (თავი 5, გვ 14) ჩანაწერი „(არვიცი ამ დამხმარე ნაგებობაში გავიყვანთ ლაგუნას)“ წარმოადგენს მექანუკურ ხარვეზს, როგორც ამავე თავშია განმარტებული „ლაგუნა წარმოადგენს მხოლოდ ბიოლოგიური მასის მისაღებად განკუთვნილ ობიექტს, რომლისთვისაც რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებული არ არის“, შესაბამისად ლაგუნა წარმოადგენს დამხმარე ნაგებობას, რომელიც გამოყენებული იქნება მხოლოდ ბიოლოგიური მასალის (სისხლი, ფეკალური მასები) შესაგროვებლად.</p>

<p>შემდეგი დანიშნულებით: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობისათვის (ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის, პირუტყვის გადასარეკი ტრასისა და მოსასვენებელი მოედნის, შიდასამეურნეო გზის და სხვა ფუნქციით); ამასთან, ამ მიწის ნაკვეთზე შეიძლება განთავსებული იყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობა ან/და დამხმარე ნაგებობა (არვიცი ამ დამხმარე ნაგებობაში გავიყვანთ ლაგუნას)“ (თავი 5. „საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა“; გვ. 14). დაზუსტებას საჭიროებს ლაგუნა დამხმარე ნაგებობაა თუ არა ამ კითხვას ვინ უნდა გასცეს პასუხი.</p>	<p>მასში შეგროვებული ბიოლოგიული მასა გამოყენებული იქნება სოფლის მეურნეობაში სასუქ მაღასლად და ხელს შეუწყობს სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწების გამდიდრებას. ამასთან ლაგუნის მოწყობა ბეტონის ან/და სხვა სახის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას არ საჭიროებს. გარდა ყოველივე აღნიშნულისა, დოკუმენტის იმავე თავში განმარტებულია, რომ „აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი კონსულტაციები გაიმართა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და მუნიციპალიტეტის განმარტებით ლაგუნის მოსაწყობად მიწის კატეგორიის შეცვლის საჭიროება არ არის და მისი მოწყობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწაზე არ წარმოადგენს რაიმე ხელისშემშლელ ფაქტორს“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილება (ს/კ: 81.03.14.047), რომელზეც გათვალისწინებულია ლაგუნის მოწყობა, დაგეგმილი არ არის.</p>
<p>გზშ-ის ანგარიშის თანხმად, ტერიტორიაზე უცხო პირთა და ცხოველთა მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია მთლიანი საპროექტო ტერიტორიის მავთულის ბადით შემოღობვა, თუმცა საჯარო განხილვაზე კომპანიის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ საპროექტო ტერიტორია სავარაუდოდ შემოიღობება რკინა-ბეტონის ან/და ბლოკის ღობით. ამასთან გზშ-ის ანგარიშში (სუნის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება და შემარბილებელ ღონისძიებები) აღნიშნულია, რომ ტერიტორია შემოიღობება არანაკლებ ორი მეტრი</p>	<p>სამივე ნაკვეთის შემოღობვა დაგეგმილია რკინა-ბეტონის ან/და ბლოკის 2 მეტრიანი ღობით. ხოლო, სასაკლავოს, ცხოველთა სადგომისა და ლაგუნის ტერიტორიების ერთმანეთისგან გამიჯვნა მოხდება მავთულბადის ღობით.</p>

<p>სიმაღლის დობით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის შემოღობვის, მათ შორის სასაკლავოს, სადგომისა და ლაგუნის ტერიტორიების გამიჯვნის საკითხი.</p>	
<p>გზმ-ის ანგარიშში განხილულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 3 წყარო: მსხვილფენა პირუტყვის სადგომი (გ-1); ღორების სადგომი (გ2) და თხევადი ნაკელის განთავსების ლაგუნა (გ-3). თუმცა გზმ-ის ანგარიშის 63-ე გვერდზე (ფორმა N2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება) ცხრილში მითითებულია გაფრქვევის წყარო 4 (გ-4). დაზუსტებას საჭიროებს გაფრქვევის წყაროთა რაოდეობა (ანალოგიური ხარვეზია “ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის” ანგარიშში).</p>	<p>გზმ-ისა (გვ 63) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის ანგარიშებში „გაფრქვევის წყარო 4 (გ-4)“ აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს მექანიკურ ხარვეზს, მის მაგივრად უნდა ეწეროს გ-3. ობიექტის ტერიტორიაზე სულ მოსალოდნელია გაფრქვევის 3 წყაროს არსებობა: მსხვილფენა პირუტყვის სადგომი (გ-1); ღორების სადგომი (გ2) და თხევადი ნაკელის განთავსების ლაგუნა (გ-3), რომელიც შეფასებული და განხილულია როგორც გზმ-ის, ისე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის ანგარიშებში.</p>
<p>სასაკლავოს მოწყობა - დაგეგმარების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები. შესაბამისად წარმოდგენილ იქნას აღნიშნული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია.</p>	<p>სასაკლავოს მოწყობა - დაგეგმარების დროს გათვალისწინებული, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე შესრულებული იქნება „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.</p>